

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული შეღავათები, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების კანონით დამტკიცებულ ტერიტორიებზე მუდმივად მცხოვრები პირებისთვის**

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის გათვალისწინებულია მთელი რიგი შეღავათები, მათ შორის: საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისთვის, სოციალური პაკეტის მიმღებთათვის ყოველთვიური დანამატის გაცემა პენსიის/სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით, დანამატების გაცემა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალისათვის (ექიმებისათვის, ექთნებისათვის) ასევე, კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული პირველი ბავშვისა და მეორე ბავშვისათვის, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი, 1 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარება – არანაკლებ 100 ლარის ოდენობით, ხოლო მესამე ბავშვისა და ყოველი შემდგომი ბავშვისათვის – 2 წლის განმავლობაში ყოველთვიური ფულადი დახმარება – არანაკლებ 200 ლარის ოდენობით და სხვა.

ზემოაღნიშნული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების რამდენიმე პროექტი, კერძოდ,

„დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №262 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, პროგრამის ბენეფიციარი ხდება 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ცოცხლადშობილი ბავშვი (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში – ბავშვები), რომლის ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი. ბენეფიციარს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი პირველი ან მეორე შვილია და 200 ლარის ოდენობით 2 წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი მე-3 ან მომდევნო შვილია. პროგრამის ადმინისტრირებას განახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის ფულადი დახმარების ადმინისტრირების მიზნით გამოიყენება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია, რომელიც ავტომატურ რეჟიმში მიეწოდება სააგენტოს.

ასევე, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, დანამატების გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად,

განსაზღვრულია დანამატის მიღების უფლების მქონე პირთა წრე, დანამატის ოდენობა და დანამატით უზრუნველყოფის პრინციპები სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის მიმღებ პირთათვის, ექიმებისა და ექთნებისათვის, დანამატის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენისა და გადაანგარიშების პირობები. კერძოდ, პენსიის/სოციალური პაკეტის დანამატის დანიშვნა ხდება სააგენტოში განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, დანამატი გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე, პენსიასთან/სოციალურ პაკეტთან ერთად და მისი ადმინისტრირება ხორციელდება სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის ადმინისტრირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მათ შორის, პირის გარდაცვალების შემთხვევაში სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის მიუღებელი თანხის ანაზღაურების ნაწილში. პენსიის/სოციალური პაკეტის შეჩერება, შეწყვეტა ავტომატურად იწვევს დანამატის შეჩერებას, შეწყვეტას. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში დანამატის შეწყვეტა ხორციელდება კანონის მოთხოვნათა დაცვით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებულ მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრებ პირთა რეესტრში ასახვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

ამავე წესით არის განსაზღვრული დანამატის გაცემის, შეჩერების, შეწყვეტისა და გადაანგარიშების პრინციპები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ სამედიცინო პერსონალისათვის (ექიმებისათვის, ექთნებისათვის). დანამატის ოდენობა განსაზღვრულია ექიმებისათვის - სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ხოლო ექთნებისათვის - სახელმწიფო პენსიის ერთმაგი ოდენობით. სამედიცინო პერსონალზე (ექიმი/ექთანი) გაიცემა ერთი დანამატი, მიუხედავად მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში ან რამდენიმე საშტატო ერთეულზე მისი დასაქმებისა.

გარდა აღნიშნულისა, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „სოციალური შეღავათების მიღება არ არის „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სოციალური დახმარების სახის – საარსებო შემწეობის – გაუქმების საფუძველი და არ ჩაითვლება შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებად“. შესაბამისად, მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, ოჯახის შემოსავლებში არ გაითვალისწინება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სოციალური შეღავათები.